საქართველო

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის

საკრებულო

დადგენილება № 23

2010 წლის 22 სექტემბერი

„თვითმმართველი ქალაქი რუსთავის სარკებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 2 ივლისის №1 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 44–ე მუხლის პირველი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის შესაბამისად

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებულ „თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს დებულებაში“ განხორციელდეს ცვლილება და მე–17 მუხლის მე–2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ქ^2“ ქვეპუნქტი:

„ქ^2. იღებს გადაწყვეტილებას უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მომზადებული დასკვნის საფუძველზე. აღნიშნული დასკვნა წარმოადგენს ლეგალიზების შესახებ გაცემული სამართლებრივი აქტის განუყოფელ ნაწილს.“

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე *კახა გურგენიძე*